დამტკიცებულია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის
№24 ბრძანებით

მოდიფიცირებულია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორის 2019 წლის 4 მარტის
№12 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი

პროგრამის ხელმძღვანელი: ზაზა ჯიქია

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: zaza.jiqia@railway.ge
მობ. ტელ.: 591 19 08 75

თბილისი 2019 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა / Construction of Transport Infrastructure

2. **სარეგისტრაციო ნომერი** - 07318-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში / Basic Vocational Qualification in Road Construction

4. **მიზანი**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფა კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ რკინიგზების მშენებლობას, მომსახურებას, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვას, რემონტს, რეკონსტრუქციას, რეაბილიტაციასა და რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგს.

5. **დაშვების წინაპირობა**

საბაზო განათლება.

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან და ლიანდაგის მონიტორინგთან.

7. **სტრუქტურა და მოდულები**

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 14 კრედიტის ჯამური ოდენობით; 6 საერთო პროფესიულ მოდულს 18 კრედიტის ჯამური ოდენობით; რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის არჩევითი კონცენტრაციის მიმართულებით - 9 სპეციალიზაციის მოდულს 47 კრედიტის ჯამური ოდენობით; ასევე, გათვალისწინებულია არჩევითი მოდულები რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი 16 კრედიტის ოდენობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 95 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 22 თვე.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 95 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 78კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 110 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 88 კვირა.

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედ.
ქართული ენა A2	15

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინფორმაციულიწიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2.	უცხოური ენა	საბაზო განათლება	4
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
5.	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
6.	საინჟინრო გრაფიკა		3
7.	გეოდეზიის საფუძვლები		3
8.	გაცნობითი პრაქტიკა საგზაო მშენებლობაში		2
9.	მიწის ვაკისის მოწყობა		7
10.	მეტროლოგია		3

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
11.	რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	მოდული „ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქცია“	3
12.	რკინიგზის ლიანდაგზე სამუშაოების წარმოების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა		6
13.	რკინიგზის მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა	მოდული „რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება“	2
14.	ლიანდაგის ზედანაშენის კონსტრუქცია		3
15.	ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა	მოდული „რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება“	10
16.	ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა	მოდული „რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება“	5
17.	ლიანდაგის მონიტორინგი/ინსპექტირება	მოდული „რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება“	4
18.	ლიანდაგის ზედანაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა		3
19.	პრაქტიკული პროექტი რკინიგზის მშენებლობა	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	11

არჩევითი მოდულები: რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
20.	სარელსო დეფექტოსკოპისტის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება		1
21.	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1(2d LT)		5
22.	დეფექტების გამოვლენა რელსებში		5
23.	რელსებისა და ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტების დეფექტები		4
24.	ულტრაბგერითი სარელსო დეფექტოსკოპების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება		1

8. **მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ააგოს მარტივი სამშენებლო ნახაზი
- დაკვალვოს ტრასა ინსტრუმენტების გამოყენებით
- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები.
- შეარჩიოს სალიანდაგო მექანიზმები, ხელსაწყო-იარაღები და მასალები;
- შეამოწმოს სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობა;
- შემოფარგლოს სასიგნალო ნიშნებით სამუშაოთა წარმოების ადგილი;
- აწარმოოს მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა–შენახვის სამუშაოები;
- გაასწოროს გრძივ პროფილსა და თარაზოში ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
- გაასწოროს გეგმაში ლიანდაგი (რეხტირება);
- გაასწოროს ნაბურცანი ლიანდაგი;
- დაარეგულიროს ლიანდაგის სიგანე და საპირაპირო ღრეჩოები;
- გაწმინდოს თოვლისაგან ლიანდაგი და ისრული გადამყვანი;
- შეცვალოს ლიანდაგის ზედა ნაშენისა და ისრული გადამყვანის ელემენტები;
- გადააწყოს მაიზოლირებელი პირაპირები და საკონტაქტო რელსის კვანძები;
- დააგოს ლიანდაგი;
- განმუხტოს ტემპერატურული დაძაბულობა უპირაპირო ლიანდაგის სარელსო წნულებში;
- დაათვალიეროს რელსების, სამაგრების, შპალების, ბალასტის, ისრული გადამყვანის, სარკინიგზო გადასავალის, სასიგნალო და სალიანდაგო ნიშნების, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების და გასხვისების ზოლის მდგომარეობა.

9. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე ჩარჩო დოკუმენტის მოდულების კრედიტთა (79 კრედიტი) მოცულობის არა უმეტეს 20 %-ისა.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

10. **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

დანართი 1. პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსი, სასწავლო გარემო

და მატერიალური რესურსი, ხელშეკრულებები;

დანართი 2. პროგრამის დამტკიცების აქტი;

დანართი 3. მიზანშეწონილობა

დანართი 4. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;

დანართი 5. პროგრამის დამატების საფასურის გადახდის ქვითარი;

დანართი 6. ბაზრის კვლევა.

პროგრამის ხელმძღვანელი:		ზაზა ჯიქია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი		შოთა მარგიშვილი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი		მანანა მოისწრაფიშვილი